თუმცა ეს ცნობა ზეთის მნიშვნელობაზე მიუთითებს, მაგრამ ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ სახელწოდება ზეთӑრ ამ დროისათვის ალბათ მარტო ზეთის აღმნიშვნელად არ იხმარებოდა, არამედ საერთოდ სიმდიდრის – სიმსუყის გამომხატველი იყო - რა მიზანსაც ეს დღესასწაული ემსახურებოდა.
27 ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბილისი, 1953, 276-278.
აღნიშნულ შესანდობარს მეტ-ნაკლებად შეესაბამება სვანეთში მიღებული გამოთქმა ზ ე თ შ კ უ ჩ ხ ე – ზეთი წვიმს. მაისის წვიმა მიჩნეული იყო, როგორც ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობისათვის სასარგებლო წვიმა.
28 ლ. მოლოდინი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1963.

კანაფის მნიშვნელობა მისი ღეროს გამოყენებაშიც აისახა. მივუბრუნდეთ ეთნოგრაფიულ მასალას.

ქერელის მისაღებად ჩრდილში „ნოტიო ჰაერზე“ შენახულ კონებად შეკრულ კანაფს გახსნიან და დასალბობად გარეთ გამოფენენ. სისველე ხელს უწყობს კანის წებოვნების დაშლას, რომლის საშუალებითაც ქერელის ერთმანეთზე გადაბმა უფრო ადვილად ხდება: დალბობილი კანაფი „აფართფაშდება“, რომელსაც თავს გადაუტეხავენ ან ცერის ფრჩხილით ჩაჭრიან და ქერელს აძენძავენ, რის შემდეგ ღეროს ყოველი მხრიდან ქერელს აცლიან, რასაც ქ ა ნ ა ლ ი ტ მ ე (ბზ) // ქ ა ნ ა ლიჯდი (ბქვ.) // ქ ა ნ ა ლ ი ტ მ გ რ ი (ქვ. სვან.) ჰქვია. დაძენძილ კანაფს ჭ ყ ა ვ ა რ ა დ მოახვევდნენ და საჭიროების დროს თოკს დაგრეხდნენ.

ეს საქმიანობა ძირითადად მაისის თვეში ხდება, რადგან მაისის წვიმას განსაკუთრებულ თვისებებს მიაწერენ და კანაფის დასალბობ კარგ საშუალებად მიიჩნევენ.

თოკი იგრიხებოდა როგორც მამალი, ასევე დედალი კანაფის ქერელისაგან. დედალი კანაფისაგან დამზადებული თოკი კარგ „ნახელავად“ იყო მიჩნეული და მეტად ფასობდა.

თოკს // თაკვ-ს მეურნეობაში დიდი გამოყენება ჰქონდა. მარტო მარხილის გამართვისათვის 44 ლანტიში თოკი იყო საჭირო. მარხილს სიგანეზე 3 თოკი სჭირდება, თვითეულის სიგრძე 8 ლანტიშია, სულ 24 ლანტიში, სიგრძეზე კი ორი ან ერთი ათლანტიშიანი თოკი იხმარება, სიგანეზე გასაკეთებელ თოკს ლ ა ტ ა ფ (ზსვან.) // ლ უ ტ ფ ი (ქვ. სვან.) ჰქვია, სიგრძეზე გასაკეთებელს ლ ა კ ა ჩ (ზსვ.) // ლ ე კ ჩ ი (ქვ. სვან.)[29].

29 „პურის, ქერის და სხვა ახლო მანძილიდან მოსაზიდად საჭიროა სამი ბაწარი – თითო სამი „ჭალ“ - მხარი, რომელიც მარხილს მხოლოდ სიგანეზე შემოეჭირება. ამ ბაწარს ეძახიან „ლუტფი“-ს. მეორე ბაწარი, რომელიც მარხილს სიგრძეზე გადაეჭირება, უნდა იყოს უფრო გრძელი, 4 ან 5 – „ჭალ“ და ეძახიან „ლეკჩი“ – ცერზე. როდესაც შორი მანძილიდან ეზიდებიან, მაგ., თივას – მთიდან, მაშინ „ლეტფი უნდა იყოს 4 ან 5 სიმაგრისათვის. ლეკჩი კი მუდამ ერთია“. შინამრეწველობის მასალები ქსოვა, ღებვა, ხელსაქმე, დასავლეთ

თოკი საჭირო იყო პირუტყვის დასაბმელად: ძროხა, ხარი, ცხენი და ხბო ერთი წლის შემდეგ ზამთარში დაბმული უნდა ყოფილიყო. შედარებით უფრო წვრილად დაგრეხილი თოკი ნესკორ იხმარებოდა სამგზავროდ პატარა საპალნისათვის, კლდეზე ასასვლელად და ერთმანეთის გადასაყვანად[30].

დედალ კანაფს, რომელსაც მაგარი და კარგი ძაფის დასამზადებლად იყენებდნენ, მკვიდრი ადგილი ეკავა საოჯახო ყოფაში. დედალი კანაფი აბრეშუმივით ნაზი იყო, კარგი დასამუშავებელი — „სახელავი" და მისგან ძირითადად ორი სახის ძაფი ირთვებოდა[31]. ნ ე ც ი ნ ქ ი პ (ქვ. სვან.) // ნ ე წ უ დ ქ ი პ (ბქვ.) — კარგ ნახელავად მიჩნეული ყველაზე დაწმენდილი წვრილად დართული ძაფი და მ ე გ რ ე ქ ი პ - მსხვილი ძაფი.

მსხვილი ძაფისაგან მზადდებოდა უხეში ტილო, რომელიც ორი სახის იყო: მტკიცე და მეჩხერად ნაქსოვი. მეჩხერად მოქსოვილი ტილო იხმარებოდა მარცვლის სარეცხი ჭურჭლის ლ ა ხ ლ ა[32] (ბზ.) // ლ ა შ ყ ვ დ ა რ (ბქვ.) // ს ა კ -ის (ქვ. სვან.) „ამოსაპერანგებლად". მტკიცე ტილოსაგან იკერებოდა მამაკაცის შარვალი ქ - ჰ მ ე ა რ შ ჾ ი ლ (ბქვ), რომელსაც განსაკუთრებით ხმარობდნენ ზაფხულში მკის დროს, მკაში სატარებელი წინსაფარი, მიცვალებულისათვის განკუთვნილი სუდარა - ფ ი ლ (ბქვ.) და ტომარა.

წვრილად დართული ძაფისაგან იქსოვებოდა რბილი ტილო, რომლისაგანაც იკერებოდა: ნალისპირი, ზეწარი, დასაწოლი

საქართველო M_{n}.

30 ცნობა მომაწოდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ალ. ჩარკვიანმა.

31 წმინდა ძაფის მისაღებად საჭიროა პატარა თითისტარი „წერი", რომელსაც ქვემოთ გაკეთებული აქვს ქვის მრგვალი „ჩ ე რ შ ტ ა", ხოლო თუ რთავენ მსხვილ ძაფს, მაგ., „საკ"-ისათვის, რომელშიც მარცვალი ირეცხება, მაშინ მაღალი თითისტარი „ლეშგვრ"-ი იხმარება. შინამრეწველობის მასალები, ქვ. სვანეთი, ქსოვა ღებვა, ხელსაქმე M_{n}.

32 სვანეთში კანაფის სადა პირსახოცებია ცნობილი, გვხვდება აგრეთვე ფოჩიანი და ზოლიანი პირსახოცებიც. ზოლი ზოგჯერ ქსოვილის ფერისა ყოფილა, დადასტურებულია წითელი განივზოლიანი პირსახოცებიც. გ. ჩაჩაშვილი, ორნამენტი სელის ქსოვილზე, თბილისი, 1964.

ნაბდის საპირე, პირსახოცი[33], ჭურჭლის ტილო – ლ ა კ ვ ც ა̈ ნ ჷ̈ რ; ამავე ქსოვილისა იყო მამაკაცის პერანგი ფატან, შიგნითა ნიფხავი ს გ ჷ̈ მ ე ა რ შ ჳ ი ლ[34] და ქ ა ლ ი ს ს ა კ ა ბ ე. სუფთა ტილო გამოკერებული ჰქონდა თაფლისა და რძის საწურს – ლანვდაარ-ს და ხის მოწნულ საწყაოებს კვიდოლსა და ლ ა ლ ა შ ს.

ტანსაცმლის ქსოვილს შავად, მწვანედ და წითლად ღებავდნენ. მწვანე ფერს ქვემო სვანეთში წყლის პირზე გავრცელებული მცენარის დ ა ვ ე ლ ა ლ ქ ა ნ ა-საგან ღებულობდნენ, შავს კი ნიგვზის კანისაგან ამზადებდნენ. იკერავდნენ მონაოჭებულ და ბოლო განიერ კაბებს[35]. შავად შეღებილ ქსოვილს მიცვალებულის სუდარადაც ხმარობდნენ.

შინამრეწველობის მასალებში კანაფის ქსოვილის შესახებ ვკითხულობთ ...„დაგვერგვილი იყო, წკენის ნაწნავი გეგონებოდა კაცს. კისერი ჩაცვეთილი ჰქონდათ იმისი ხეხვით. რომ გადაგეწია ვერ გადადრეკდი ისე იყო გაშეშებული. ამისი კაბა და კაბის ზედა წელი თავისათ იცოდნენ, მახსომს „ზეხა მოლაზონს რომ ეცვა შენაღებავი იყო „წერის" ფერათ (ნიგვზის კანით იყო დაწერილი)"[36].

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, საოჯახო მეურნეობაში ძველთაგან ხმარებაში იყო ნაირი სახის კანაფის ძაფი.

კანაფის წვრილად დართული ძაფით – ნ ე ო ნ ი თ იკერებოდა ქალამანი. კანაფის მსხვილი ძაფი ლ'აბარი იხმარებოდა ქალამნის შესაკრავად. კანაფის სამტოტად დაგრეხილ ძაფს ნ ე ს კ ო რ-ს // ლ ე ს კ ო რ-ს, რომელიც გამდნარ ცვილში[37] იყო ამოვლებული, იყენებდნენ ბანდულების გასაბანდად და მ შ ვ ი ლ დ - ი ს რ ი ს ლარისათვის, ამასთანავე, წვრილად დართული კანაფის ძაფისაგან

---

33 ტომარა და „ლახლა" მამალი კანაფის ძაფისაგანაც მზადდებოდა.
34 შდრ. მ. მუსერიძის და ნ. ჩიმაკაძის დასახ. ნაშრომი.
35 გ. ჩაჩაშვილი, ხალხური ფეიქრობა სვანეთში, ხელნაწერი.
36 შინამრეწველობის მასალები, ქვემო სვანეთი, ქსოვა, ღებვა, ხელსაქმე. Mი.
37 ი. ფალიანი, სვანური სპორტული თამაშობანი, ხელნაწერი ინახება საქ. სსრ ფიზკულტურის ინსტიტუტში, ვასახელებ ალ. რობაქიძის დასახელებული ნაშრომის მიხედვით, 131.

იქსოვებოდა თევზის საჭერი ბ ა დ ე //ბ ა დ (სვან.). მსხვილი ძაფი კი განათებისათვის – სანთლის გულად იყო გამოყენებული.

საოჯახო ყოფაში კანაფის სამეურნეო დანიშნულების გამოვლენის საშუალებას გვაძლევს აგრეთვე ჰ ა ს შ ვ ა რ ო ბ ი ს ჩვეულება.

ნათლიღებას – გ ა ნ ც ხ დ ა̄ ბ -ს[38] ჰ ა ს ჷ ი შ -ი[39] მოდიოდა თავის დედ-მამის ოჯახში ერთი ან რამდენიმე დღით (რადგან, წესის მიხედვით, არც ერთი ლხინი ქალიშვილს არ უნდა ასცდეს). წასვლის დროს გათხოვილ ქალიშვილს უნდა მიეღო სხვა საჩუქრებთან ერთად ორი-სამი კონა კანაფი. ქალიშვილის სიკვდილის შემდეგ ეს უფლება გადადიოდა ქმარსა და შვილებზე. ლ ა მ ჷ ა რ ი -ს[40] ამ სავალდებულო გამოსაღებს ქ ა ნ ა ს ა ხ – კანაფის ბეგარა[41] ერქვა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, განსაკუთრებული ინტერესის შემცველია რელიგიურ ყოფაში შემონახული კანაფის ლ ე ლ ტ ვ ი - რ ა დ შეწირვის წესი. რადგან ამ ჩვეულებისათვის ყურადღება არავის მიუქცევია და ამის გამო სხვა მასალა არ მოგვეპოვება, იძულებული ვართ ჩვენი მასალით დავკმაყოფილდეთ.

ხალხში დაცული გადმოცემის თანახმად, სოფელ ლ ა̈ ჰ ი ლ შ ი (ლატალის თემი, ზემო სვანეთი) კვანჭიანების ერთ-ერთ სამხუბს[42] აბრამშას საშვილიშვილოდ თა̄რგნგზელის[43] მიერ კანაფის ბეგარა ჰქონია დადებული. ეს წეს-ჩვეულება შემდეგნაირად გადმოგვცეს.

---

38 განცხდა̄ბ (6 იანვ.) „განცხადება“, წყალკურთხევა.
39 ჰასჷიში გათხოვილი ქალი ოჯახისა და გვარისათვის.
40 ლამჷარი - მამულეთი, გათხოვილი ქალისათვის მამის სახლი.
41 სოფელი ლადრერი (ეცერის თემი), მთხრობელი მურზა ბათურის ძე პაკელიანხი (98 წლის.) 1968 წლის სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურიდან. შდრ. სები გულედანი, ძველი ადათ-ჩვეულებანი ზემო სვანეთში, ხელნაწერი ინახება მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.
42 საძმო.
43 მთავარანგელოზი - თა̄რგნგზელი ვაჟიშვილების მომცემი და მფარველი ღვთაება იყო, მას აგრეთვე თავის ტკივილის საწინააღმდეგოდ ევედრებოდნენ. ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალიწლის ციკლი, ტფილისი, 1939, 65.

აბრამშას წინაპარს – მღვდელს მარხვის დროს გამოცხადებია თა̄რგნგზელი და შეუძახნია - ჩამოდი ჩემთანო; მღვდელს ღმერთი ვერ უცვნია და უთქვამს

შენ თვითონ ამობრძანდიო. განაწყენებულ თა̄რგნგზელს მღვდლის სამხუბისათვის საშვილიშვილოდ თავის ტკივილი გადაუწყვეტია. როდესაც მღვდელს გაუგია, რომ სტუმარი თა̄რგნგზელი იყო, მისულა მასთან და შეხვეწნია, მაპატიე ჩემი უმეცრებაო. თა̄რგნგზელს უპატიებია, მაგრამ სამხუბი ლელტვირით[44] დაუბეგრია, და იმის შემდეგ აბრამშას სამხუბი უფლიშის (ახალი კვირის) ახალი მთვარის პირველ ორშაბათს ლელტვერისაგან გაკეთებულ კანაფის გორგლებს კ უ კ უ̂ - ს[45] სწირავდა.

ამ შესაწირავის რეალური არსებობა დავამოწმეთ 1967-68 წელს სვანეთში მუშაობის დროს. გორგლები დღესაც ინახება ლატალში მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაში.



სვანეთი. ლატალი.
შეწირული კანაფის კვიკვი

44 ლეტვრე სანთელია, ლიტვრე სინათლის ანთებას ნიშნავს, ამნთებს მულტვრე ჰქვია. ლელტვერის შემწირველი მულტვერია, აბრამშა მულტვერი იყო. ლანტვარა̄ლ-ი ჰქვია იმ ნივთს, რომელზედაც ანთებდნენ კვარს ლამტა̄რა̄ლ - საკვარეს ნიშნავს.
45 კანაფს ლელტვერისათვის ოჯახის სუფთად ყოფნის დროს თესავდნენ, მისი მოვლა და მოსავლის აღება-დაბინავებაც მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, როდესაც ოჯახში უწმინდური ქალი არ იყო. „ლელტვერისათვის კანაფი ცალკე ინახებოდა, რომლის „გამოხდა“ - ქერელის დამუშავება და დართვა მამაკაცს ევალებოდა.
შდრ. ვ. ბარდაველიძე, სვან. ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1, ახალიწლის ციკლი, ტფილისი, 1939, 67.

მთავარანგელოზის სახელობის დღეობაზე ორშაბათ დილით აბრამშას ოჯახში ყველა ადრე ადგებოდა, უფროსი მანდილოსანი ხოშა ზურპლ, ან მერბიელ-ი ლემზირებს გამოაცხობდა, რიტუალის მთავარი შემსრულებელი სახლის უფროსი კაცი – ხოშამპრე ანუ ქორჲ მახჳ-ში კანაფს მსხვილად დართავდა და თავის სიგრძე ძაფისაგან კუკჳ-ს გააკეთებდა, თპრგნგზელისათვის სამ დიდ სანთელს ჩამოქნიდა, ზედაშეს აიღებდა და დაილოცებოდა, ღმერთს დახმარებას შესთხოვდა. მერე 12 ლემზირს, ზედაშეს, სამ სანთელს, კუკჳ-ს და ნატუსუნ-ს[46] ლალაში ჩააწყობდა და სალოცავში წაიღებდა. უფროსი მამაკაცი ეკლესიაში ლოცვას წარმოთქვამდა, სამ სანთელს აანთებდა და იქ მყოფ მამაკაცებს ლემზირებით და არყით გაუმასპინძლდებოდა, შეწირული კანაფის გორგლებს ეკლესიაში ჩხაზე დაკიდებდა და საჭიროების დროს ხმარობდა (მისგან სანთლის გულს ამზადებდა), როგორც „მულტვერის« ოჯახი, ასევე კვანჭიანების სხვა სამხუბის და სხვა გვარის ხალხი, რომელიც ამ ეკლესიაში ლოცულობდა. კუკჳ-ს გამოყენება იმ სანთლისათვის, რომელიც მიცვალებულის სახელზე კეთდებოდა, აკრძალული იყო.

როგორც ამ ლეგენდარული თხრობიდან ჩანს, აბრამშას სამხუბის წევრები განსაკუთრებულ ძალას მიაწერდნენ მრგვალი ფორმის კანაფის გორგალს - კუკჳ-ს, რომელთა შეწირვით თპრგნგზელის გული უნდა მოეგოთ და საძმო თავის ტკივილისაგან ეხსნათ.

რით უნდა აიხსნას ამ გრძელი და მრგვლად მოხვეული კანაფის მნიშვნელობა?

ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად უპირველეს ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ კანაფთან და სელთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და საწესო მოქმედებანი.

---

46 საკმეველი.

ანალოგიური წესის არსებობა მხოლოდ მეგრულ ხალხურ წარმართულ სალოცავში „კიანობა" // „კეენობა" დღეს არის დამოწმებული, სადაც ქალი „ლანდად" ამოხვეულ სელის ძაფს მიიტანდა, რომელსაც სპეციალურად გამოყოფილი პირი დაწვავდა და მისი ალის მიმართულების მიხედვით მისნობდა მომავალი წლის ავ-კარგზე და ხალხის ბედ-იღბალზე[47].

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სვანეთში ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეში მიცვალებულისათვის სელისა და კანაფის სუდარა იხმარებოდა. ზოგიერთი სვანური მასალის მიხედვით, სუდარას თაფლის სანთელში ავლებდნენ. დ. მარგიანის ცნობით, ეს წესი უშგულში იცოდნენ, რადგან იქ მიცვალებულს აკლდამაში ჭურჭლის გარეშე მარხავდნენ[48].

გურული მასალების მიხედვით, მიცვალებულის სულისათვის საჭირო იყო ცხედრის შინ მოქსოვილი სელის უხეშ ტილოში გახვევა[49].

ი. გიულდენშტედტის ცნობით, იმერეთში მიცვალებულისათვის გასანთლული ტილო იხმარებოდა[50].

ასე იყო ალბათ ძველად; ვანის, ქობულეთის და დაბლა გომის (V-IV-III საუკ. ძვ. წ.)[51] სამარხებში ნანახი სელის ქსოვილის ნაშთები შესაძლებელია, აღნიშნულ ვითარებაზე მიუთითებდეს.

რელიგიის ისტორიაში ცნობილია, რომ მიწათმოქმედი ხალხი საკულტო ცერემონიალის შესრულების დროს მცენარეულის ძაფისაგან დამზადებულ ქსოვილს ატარებდა[52].

---

47 ნ. რეხვიაშვილი, ჭარობა სამეგრელოში, თედო სახოკიას კრებული. 1969, 137.
48 Д. Маргиани, Свания (некоторые черты быта). Сборник мат. для описания местностей и племен Кавказа, вып. X, Тифлис, 1890, 78; ც. ბეზარაშვილი, სვანი ქალის სამოსი, სვანეთის ეთნოგრ. შესწავლისათვის, 1970, 18-185.
49 Мамаладзе, Народные обычаи и поверья гурийцев. СМОМПК, ИП, 1893, 77. ა. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია, 1971, 170.
50 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტომი პირველი, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962, 151.
51 საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959, 248-249; Г. Лорткипанидзе, К истории древней Колхиды, 1970, Тбилиси, 50-51.
52 Г. Чурсин, Очерки по этнографии Кавказа, Тифлис, 1913, გვ. 14.

ამ საკითხებს ეხმაურება ჩვენს ეთნოგრაფიულ ყოფაში დაცული ჩვეულება სასულიერო პირთათვის სელისა და კანაფის საცვლებისა და ტანსაცმლის ტარების შესახებ[53].

ჰეროდოტეს მიხედვით, ეგვიპტეში შალის ქსოვილში ჩაცმულები ტაძარში ვერ შევიდოდნენ და ვერც მიცვალებულს დამარხავდნენ შალის ტანსაცმლით (Herod, II, 81).

ანალოგიური ვითარება სხვა რელიგიებშიაც შეინიშნება. ებრაელთა წარმოდგენით, „...სარწმუნოების თვალსაზრისით სელის ქსოვილებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მღვდლებს ნება არ ჰქონდათ მატყლის ქსოვილის ჩაცმისა და სელის ქსოვილით იმოსებოდნენ".

ებრაულ დაბადების ქართულ თარგმანებში სამოსელი სელისა არის მოხსენებული: მაგ., ლევიტელთა 16_4-ში ნათქვამია: „სამოსელი სელისა განწმედილი შეიმოსოს და ნიფხავი სელისა იყოს სხეულსა მისსა და სარტყელი სელისაჲ შეირტყას და ვარშამანგი სელისა დაიბუროს"-ო[54].

ზემო აღნიშნულთან ერთად მხედველობაში მისაღებია, რომ კანაფისგულიან რიტუალურ პურს, კანაფის ზეთს, კანაფის ძაფის სანთელს და სხვა აქსესუარებსაც საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა.

მოტანილი მასალების საფუძველზე ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესრულების დროს კანაფისა და მისი პროდუქტის ჭამისა და მოხმარების აუცილებლობა ალბათ ის რელიგიური აქტი იყო, რომელიც მცენარეულის ღვთაებასთან ზიარებას გულისხმობდა[55].

---

53 იმ დროს, როდესაც სვანი მანდილოსნები ფაბრიკული ქსოვილით იმოსებოდნენ, აღსანიშნავია, რომ მონაზვნები კანაფის ქსოვილისაგან შეკერილ კაბას ატარებდნენ. შინამრეწველობის მასალები, ქსოვა, ღებვა, ხელსაქმე, დას. საქართველო, M_{12}.

54 ვასახელებ ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. III-IV, 1962, 161.

55 ვ. ბარდაველიძე, ქართ, უძვ. სარწ. ისტორიიდან,. (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), 1941, 100-102.

საინტერესო ჩანს აფხაზეთში ნ. ჯანაშიას მიერ დამოწმებული სელის მოსავლის აღების შემდეგ სელის სულის „კვიკვინ"-ისადმი ქალის მიერ მრგვალი კვერების შეწირვის წესი[56].

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ კვიკვინ// კუკუნის ეპითეტით, როგორც ჩანს, წარმოდგენილია ღვთაებრივი არსება, რომლისადმი მიმართული სარიტუალო წესების შესრულებით ადამიანი ცდილობდა მისი გულის მოგებას და დამორჩილებას.

ეპითეტი კუკუნ თავისი აგებულებით სვანურ კუკჾ-ს ჰგავს. ეს ტერმინი კი სხვა არაფერია თუ არა სიმრგვალის აღმნიშვნელი ცნება, შდრ. მეგრული ჴვიკვი, სვანური კუკჾ, აფხაზური კუკუნ; მაშასადამე კუკუნ, კუკჾ და კვიკვი შეიძლება ერთი და იმავე ცნების გამომხატველი იყოს. აღსანიშნავია, რომ ეს ორი (სვანურ-აფხაზური) სახელწოდება არსებითად ერთი მოვლენის აღმნიშვნელი ტერმინის ორი სახესხვაობაა.

ისმის კითხვა, რატომ უნდა რქმეოდა კუკუნ-ს ალბათ მცენარეულის მფარველ ღვთაებას მეგრულ კვიკვი-დან ნაწარმოები სახელი?

ამ ცნებათა ბუნების და გენეზისის დადგენა მხოლოდ მათთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენათა საშუალებით შეუძლებელია. რადგან, როგორც სვანურ, ასევე აფხაზურ მასალაში კუკუნ-ის მითოლოგიური მხარე შედარებით წაშლილია, არც მარტო ეთნოგრაფიულ და ეტიმოლოგიურ გააზრიანებაზე დამყარება შეიძლება, რადგან აფხაზებსა და სვანებში მსგავსი ტერმინის არსებობა ტომობრივ-ენობრივი კუთვნილების საკითხსაც სვამს. უნდა გაირკვეს, არსებობს თუ არა მსგავსი სახელები ქართველებში და კავკასიის ხალხების ენებში. ეს კვლევა კი დღესდღეობით

---

56 Н. Джанашия, Абхазский культ н быт, ХВ, т. V, Вып. III, 1917, 160; ეთნოგრაფ შალვა ინალ-იფას ცნობით, სელის „სულს" კუკუნ-ი ჰქვია.

ჩვენი ცოდნისა და წინამდებარე ნაშრომის ჩარჩოებსცილდება და მომავლის საქმეა.

როგორც ვხედავთ, კანაფს და მის ნაყოფს დიდი სამეურნეო და საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა.

სვანეთში ნატურალური მეურნეობის პირობებში კანაფის ნათესებს საკმაოდ დიდი ფართობი ეკავა და შინამოხმარების საგანს წარმოადგენდა; საკუთარ მოთხოვნილებას გადარჩენილი კანაფი კი ადგილობრივ ბაზარზე გაცვლის ან ყიდვა-გაყიდვის საგანი იყო. მაგ., ადიშის 6 სალოცავს კანაფის თესვა სოფლის მიწებზე აკრძალული ჰქონდა, ამიტომ ისინი კანაფს მეზობელი თემებიდან ყიდულობდნენ ან გაცვლის წესით იძენდნენ. ასევე მეზობელ თემში ყიდულობდა ან ცვლიდა კანაფს მოუსავლიანი (დასეტყვილი) სოფელი.

XV საუკუნეში კანაფის მეურნეობას იმდენად განვითარებული და ფართო ხასიათი ჰქონია, რომ მის ნაწარმზე გამოსაღებიც კი დაწესებულა.

XV საუკუნის მეორე მეოთხედით არის დათარიღებული საყმო გამოსაღების ის აქტი (იურიდიული დოკუმენტი), რომელსაც ანონიმი მწერალი დაწერილს უწოდებს და აზნაურ ჯაფარიძესა და გლეხ მუტვილიანს შორის საყმო გამოსაღებს ასახავს.

მოტანილი საბუთი ასეთია.

„დრო: მე-15 საუკუნის მეორე მეოთხედი მდივან-მწიგნობარი: ანონიმი, მწერალი, რომელსაც ეკუთვნის (აქტი # 22) (ქურდიანთა საქმის გამო).

„ღმერთისა დიდისა თავსდებობითა და შუამდგომლობითა დაგიწერეთ ესე წიგნი ჩუენ მჯაფარიანმან ქედდიშს მუტვილიანსა და მის შვილებსა ამა პირსა ზედა, რომე ერთი ცხუვარი ბეგარა

ერთი მგზავრობაჲ საჯამაგიროს იყოს, ერთი ხამი[57], სამი ნადობა, უკუნისამდე[58].

უნდა ვიგულისხმოთ, რომ თუ სვანეთის ამ ნაწილში (ბალს ზემო სვანეთი, სადაც ბატონყმობა შედარებით სუსტად იყო განვითარებული) კანაფის ნაწარმი – ხამი გადასახადის ერთ-ერთ სახეობას შეადგენდა, ცხადია, რომ ბალსქვემო და ქვემო სვანეთში კანაფის ნაწარმზე გადასახადი უეჭველად იარსებებდა.

გვიან, XIX საუკ-ის I ნახევრიდან სვანეთში კანაფის მეურნეობა ოჯახური წარმოების ფორმიდან თანდათან სასაქონლო ხასიათს ღებულობდა.

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ XIX საუკუნეში, მეზობელ მხარეებთან სავაჭრო ურთიერთობის და გაცვლა-გამოცვლის დროს, სვანეთი სხვა სახის შინამრეწველობის საგნებთან ერთად კანაფის ნაწარმსაც იყენებდა.

თვალსაჩინოებისათვის შინამრეწველობის მასალას გავითვალისწინებთ, სადაც აღნიშნულია, რომ „ხონის ბაზარზე მუდამ იყიდებოდა (სვანეთიდან ჩამოტანილი) კანაფის ნართის ქსოვილები: „პირსახოცები, „საწყლეები", ტომრები და სხვა[59]". ამ სახით გაჰქონდათ კანაფი ცაგერის და სენაკის ბაზარზეც[60].

მიუხედავად ზემოაღნიშნული ვითარებისა, კანაფი და მისი პროდუქტი ძირითადად ნატურალური მეურნეობის ფარგლებში რჩებოდა. აღსანიშნავია, რომ ქვემო სვანეთი კანაფს საბატონო

---

57 რა თქმა უნდა ტერმინი ხამი ძირითადად ბამბის შინდართულ მსხვილ ქსოვილს გულისხმობდა. მაგრამ რადგან სვანეთში ბამბას კანაფი ცვლიდა, სავარაუდებელია, რომ აღნიშნული ხამის გამოსაღები კანაფის ქსოვილის გამოსაღები იყოს.

58 პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები ნაკვეთი მეორე. ტექსტები, თბილისი, 1941, 16. ამ საბუთის მითითებისათვის მადლობას ვუხდით ისტორიკოს გ. გასვიანს.

59 შინამრეწველობის მასალები, ქსოვა-ღებვა, ხელსაქმე, დასავლეთ საქართველო, MII.

60 ჯ. რუხაძე, 1968 წლის სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური. რვ. 1-2.

გადასახადის დასაფარავადაც აწარმოებდა[61]. დადიანის მიერ შეწირული გადასახადი – „დადიანა ბეგჲრ" ლაშხეთის თემისათვის გულისხმობდა: ხორცს, 10-15 კგ სანთელს, ზომით 4-5 მ*წდ (მკლავ) სგურს (მოქსოვილ კანაფს)[62] და სხვ.

XIX საუკუნის ბოლოს კანაფის ტრადიციულმა მეურნეობამ საგრძნობი ცვლილება განიცადა, მთაში სავაჭრო კაპიტალის შეჭრას[63] და მზა პროდუქციის გაჩენას თანდათან კანაფის ნაწარმზე მოთხოვნილების დაქვეითება და კანაფის სათესი ფართობების შემცირება მოჰყვა. კანაფის კულტურამ სადღეისოდ მხოლოდ აქაიქ თუ შემოინახა თავი.

ასეთია სვანეთის კანაფის მეურნეობის ძირითადი თავისებურებანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით.

სვანეთში კანაფის მოყვანის ხალხური წესები, კანაფის პროდუქტისა და ქერელის დამუშავება-გამოყენების მდიდარი ცოდნა-გამოცდილება, კანაფის, მისი ზეთისა და მარცვლის როლი რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში კანაფის მეურნეობის ხანგრძლივ ტრადიციებზე და ხალხის ყოფაში მის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

---

61 ლეჩხუმელთა ყოფაში დადასტურებულია კანაფის ნართის „კედ-ის" გადასახადი. შინამრეწ. მასალები, ქსოვა-ღებვა, ხელსაქმე, დასავ. საქართველო, MII; სამეგრელოში კანაფის თესლი საგლეხო გამოსაღების ერთ-ერთი საგანი იყო. Р. Эристов, О крестьянском сословии в Мингрелии, Кавказская старина, 1873, № 6.

62 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბილისი, 1964, 79.

63 И. Г. Антелава, Э. А. Орджоникидзе, Э. В. Хоштария, К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тбилиси, 1967.

მარცვლეული კულტურებისათვის განკუთვნილი სათავსები*

ჭირნახულის დასაუნჯებელი და საცავი სათავსები დღეისათვის მეტ-ნაკლებად შესწავლილია[1]. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი ბევრი სახეობა სათანადოდ გაშუქებული და დადგენილი არაა. კერძოდ, არ არის საკმაოდ გამოვლენილი ის მასალა, რომელიც ატლასისათვისაა საჭირო. ამ მიზნით ვმუშაობდით ზემო სვანეთში (მულახ-მუჟალი, მესტია, ლატალი, ბეჩო). 1974 წელს ფიქსირებული მასალის გარდა გამოვიყენეთ ჩანაწერები, რომლებიც სპეციალური ექსპედიციების დროს იქნა მოპოვებული 1960, 1966, 1967 წლებში და 1971 წლიდან დაწყებული ველზე მუშაობის სხვადასხვა დროს; ამასთანავე ვისარგებლეთ აკად. ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით შეკრებილი შინამრეწველობის მასალით, რომელიც დაცულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში და გავითვალისწინეთ ამ სათავსების შესახებ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში არსებული ცნობები.

სვანეთში სამარცვლე სათავსები მრავალფეროვანი არ არის. მასალის მიხედვით, ორნაირი სათავსი გვხვდება. 1. ფიცრული (კიბდენ|| კიბდრ̈ნ|| კიდობანი, ხარალ||ხარვალ) და 2. მოწნული (გოდ||ჭუფ||გოდორი და ლაშხვეტ კიბდრ̈ნ||მოწნული კიდობანი).

სათავსებიდან კონსტრუქციულ-მხატვრული დახვეწილობით და გავრცელების სიხშირით გამოირჩევა კიდობანი, რომელსაც ხანგრძლივი ისტორიული ტრადიცია აქვს. სვანეთში მოწმდება

---

* დაიბეჭდა ჟურნ „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია, #4, 1976, გვ. 132-138.

1 ლ. ბედუკიძე, ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1973; ლ. ბედუკიძე, სვანური ავეჯი, სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1970; მ. ჩართოლანი, სამეურნეო ნაგებობანი სვანეთში, სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ. 1970.

არსებობა სხვადასხვა დანიშნულების კიდობნების, რომლებიც ერთმანეთისაგან ფორმით და მოცულობით განსხვავდებიან, ამის გამო სახელწოდებაც სხვადასხვა აქვთ[2].

მარცვლისა და ფქვილის კიდობანი ორგვარია: 1. ოთხკუთხედი ან მოგრძო ფორმის სახურავიანი და 2. მაღალი უსახურავო კიდობანი, რომელსაც „ლაკიჩხ“ ან „ლუკიბ კიბდონ“-ს – კიბიან კიდობანს ეძახიან. პირველს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე სახურავიანი პატარა კიდობანი, რომელშიც რიტუალის შესასრულებლად დღეობისათვის წინასწარ მომარაგებული საუკეთესო ხორბალი ან ფქვილი ინახებოდა, ხოლო მეორეს – ლუხუნჯ̌გ, ბეღელზე პატარა, მაგრამ მეტად ღრმა კიდობანი, რომელსაც ფსკერი ძლივს უჩანდა[3].

კიდობანს აკეთებდა თვით სოფლის მეურნე[4], მაგრამ ორნამენტიანი კიდობნის კეთება ყველას არ შეეძლო, იგი საგანგებო დახელოვნებას და დროს მოითხოვდა.

კიდობნისათვის გამოყენებული იყო ცაცხვის, თელის, ნაძვის ან ფიჭვის ხის მასალა, ხოლო დაჭრელებული კიდობნის წინა ხედი კაკლისაგან მზადდებოდა[5]. დამორილ ხეს წინასწარ დანიშნული ზომების მიხედვით ცულით კოჭებად, ჩარჩოდ და ფიცრებად გათლიდნენ; ჩარჩოს დირეებს ფიცრების ჩასაწყობად ორსავე მხარეს ბუდეებს ამოუღებდნენ ამოტოხავდნენ, თავბოლო გათხელებულ ფიცრებს ერთმანეთთან კბილანებით აკავშირებდნენ, დირეებში შეაწყობდნენ და კიდობანს შეკრავდნენ.

2 შდრ. მ. ჩართოლანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 106-116; ლ. ბედუკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 143.

3 ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი, M1, 87, რვ. 1.

4 კიდობნის კეთების ტექნოლოგიურ მხარეს ჩვენ აქ დეტალურად არ შევეხებით. ამასთან დაკავშირებით იხ. ლ. ბედუკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 126–132.

5 შდრ. ლ. ბედუკიძე, დასახ ნაშრომი, გვ. 145.

შეკრულ ჩარჩოს გადმოაბრუნებდნენ და ძირს გაუკეთებდნენ. თუ კიდობანს ფეხი არ ჰქონდა, მას ხის კოჭებზე დაამაგრებდნენ და სიპებზე დგამდნენ.

კიდობნის ლაფარი – სახურავი - თავ-ბოლო გათხელებული ფიცრებისაგან შედგება. ლაფრის ფიცრები ეწყობა ხის ლაგდრეზალში (ბალსზემო სვან.) – დირეში, რომელიც კიდობნის ორსავე ნაპირზე არის დაჭედილი. ლაგდრეზალში ჩაწყობილი ფიცრები მოძრაობს. მარცვლის ან ფქვილის ჩაყრის დროს ლაფრს მთლიანად გამოიღებენ, ხოლო ამოღების დროს ერთ ლაფრს გამოწევენ. კიდობნიდან ფქვილი კიზით (ბრტყელთავიანი კოვზით) ამოაქვთ, მარცვალი – კარვით (ხის კანისაგან შეკერილი საწყაო ჭურჭელი).

კიდობანი მარტივად კეთდება, იგი კვადრატული ან წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმისაა და ძირითადად ერთგანყოფილებიანი სათავსია. მაგრამ გვხვდება ორ და სამთვლიანი – დანაწევრებული კიდობანი. რამდენიმეთვლიან კიდობანს ზოგჯერ ერთი სახურავი ანუ კარი აქვს. ხშირად ყოველი „თვალი" გამოსაწევი სახურავით იკეტება.

როგორც ცნობილია, სვანეთში სხვადასხვა დანიშნულების კიდობანს სხვადასხვა სახელი ჰქონდა, მაგ., პურის კიდობანს – კვეცნა კიბდვენ-ს ეძახდნენ, ფეტვის კიდობანს – ლაფტურალ კიბდვენ-ს, ქერის კიდობანს – ჭგმნიშ კიბდვენ-ს, ჭვავის კიდობანს – მანაშ კიბდვენ-ს და ა.შ. მაგ., კიდობანს, რომელშიც მარცვალი ან ფქვილი ხანგრძლივად ინახებოდა (ორი-სამი წელი), ძველი კიდობანი – ნაჯვნელ კიბდვენი ერქვა. მასში უფრო მეტად ინახავდნენ ფქვილს, რადგან მარცვალი ადვილად ფუჭდებოდა. ეს კიდობანი გალესილი იყო სახურავიანად; ტრადიციულ და შეძლებულ ოჯახს გვემში შენახული ჰქონდა რამდენიმე ასეთი კიდობანი. მოულოდნელი ხარჯისათვის (მოუსავლიანობის, ქორწილი, ან მიცვალებულისათვის) შენახულ კიდობანს

გადადგმულს - „ქალგგეს“-ს[6] ეძახდნენ. მონათხრობის მიხედვით, ძველი მარცვლის ან ფქვილისაგან გამომცხვარი პური გამოირჩეოდა სუნით და გემოთი, იტყოდნენ, ამ ოჯახიდან „ნაჯვნელ კვეცენის სუნი გამოდისო“ (ბეჩო).

კიდობანი შერჩეული იყო სხვადასხვა მარცვლეულისა და ფქვილისათვის. მაგ., ფეტვს და ფქვილს ათავსებდნენ უკეთ გათლილ და მჭიდროდ ნაშენ ან გალესილ კიდობანში, ხოლო ქერისა და ცერცვისათვის შედარებით ცუდად ნაკეთებ კიდობნებს იყენებდნენ. კიდობნის გასალესად ხმარობდნენ ჭვავის ფქვილის და ნაცრის ან ნაკელის, ნაცრისა და ღორის ჯაგრის ნარევს. ლესავდნენ იმ ადგილებს, სადაც ფიცრები ერთმანეთს უერთდებოდა. ზოგჯერ კიდობანი გარედან შეთეთრებული იყო კირის ხსნარით. კიბით ასასვლელი დიდი კიდობანი ბეღლის ტოლფასოვანი იყო და სვანეთის ზოგ თემში მას ბაღ-ს ეძახდნენ. დიდ კიდობანში ძირითადად იმ მარაგს ათავსებდნენ, რაც ერთი წლით გათვალისწინებულ სარჩოს გადარჩებოდა. მოსავლიან წელს ეს კიდობანი ივსებოდა. ბაღში ჭირნახულს ყრიდნენ ლაშდარიდან – საგანგებო სარკმლიდან, რომელიც სვანური სახლის მეორე სართულზე, დარბაზში იყო გაკეთებული. ბაღში ეტეოდა 100-120 კვიდოლი მარცვალი (კვიდოლი 3 ფუთია).

აღნიშნული კიდობნების გვერდით ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ კიდობნებზეც, რომლებშიც შენახული იყო დღეობისათვის წინასწარ მომარაგებული საუკეთესო ხორბალი ან ფქვილი და რომელსაც ბალსზემო სვანეთში „გუიზ კიბდვენი“, ხოლო ბალსქვემო სვანეთში „ტაბლაშ კიბდვენი“ ერქვა[7].

ზაფხულის მიწურულში, ახალი მოსავლის გალეწვის დროს, ცალკე გამოყოფდნენ საუკეთესო ხორბალს, დაფქვავდნენ

6 მ. ჩართოლანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

7 ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალი წლის ციკლი, ტფ., 1930, გვ. 15.

და ცალ-ცალკე კიდობნებში შეინახავდნენ. ოჯახის უფროსი დიასახლისი თითოეულ კიდობანს ცალკე დღეობას შეუსახელებდა და ისე შეინახავდა, რომ დათქმულ დღეობამდე არავის გაეხსნა და ფქვილი არ ენახა. ამ გადანახულ პურეულს ეწოდებოდა „გჳიზ-ი" ან „ტაბლა-ში". ის უწჳე-ნა იყო, ე. ი. მისგან გამომცხვარი ლემზირების დანახვა და შეჭმა არავის არ შეეძლო, გარდა ოჯახის გათხოვილი ქალისა. გჳიზიან და ტაბლაშიან კიდობანს უწმიდური ქალი ახლოს ვერ გაუვლიდა. ასეთები იყო მაგ., ყორ-ლიკ-რა̈ლე გჳიზ, ლამა̈რია გჳიზ, ბარბლა̈შ გჳიზ და სხვები. ტაბლაშის ფქვილისაგან აცხობდნენ ლემზირებს ზამთრის დღეობებში შობას, ქრისდეშს, ჲეშხუ̈ას და კანდას. აღსანიშნავია, რომ გჳზები და ტაბლაში ოჯახს მრავლად ჰქონდა. გადმოცემით, ოჯახში რვა-ცხრა სხვადასხვა გჳიზის ან ტაბლაშის კიდობანი იდგა[8].

საყურადღებოა, რომ ლოცვა-ვედრება ხდებოდა არა ყველა კიდობანთან, არამედ ამა თუ იმ ღვთაების სახელზე განკუთვნილთან. წმინდა კიდობანი ყოველთვის გვემში[9] იდგა, მაშინ როდესაც სხვა კიდობნებს ათავსებდნენ ჰაგამშიც[10] და გუბა̈ნდშიც[11]. მაგ., სათესლე კიდობანი – ლაში კიბდვენი დარბაზში იყო მოთავსებული, ყოველდღიური მოხმარებისათვის განკუთვნილი ფქვილიანი კიდობანი კი საცხოვრებელი სახლის მაჩუბში, იქ, სადაც მეურნეობა წარმოებდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად საინტერესოა კიდობანთან დაკავშირებული ხალხური ჩვეულებები და რწმენა-წარმოდგენები. აქვე უნდა დავასახელოთ ლილამუნეს (თესლობას) გამომცხვარი რიტუალური კვერი გემ||გჳემ, რომელიც ჭირნახულის დოვლათის სიმბოლურ გამოსახულებას წარმოადგენდა (კვერს

---

8 იქვე.

9 სახლის მინაშენი პურეულის მარაგის – კიდობნების შესანახად გვემთან დაკავშირებით იხ. მ. ჩართოლანის დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

10 მაჩუბში შესასვლელი დერეფანი.

11 საზაფხულო საცხოვრებელი ნაგებობა.

ზემოდან დაკრული ჰქონდა სამი პურის ბურთულა, რომლებიც კიდობნებს წარმოსახავდნენ)[12].

საყურადღებოა აგრეთვე გჟემთან შესრულებული ჸულის[13] რიტუალი (ახალ წელს ჯოხზე შესვამდნენ ბიჭს და სახლში შესვლის დროს გჟემთან გაიძახოდნენ: „ბომბღა, ბომბღა, გჟემ-ის კარზე დატვირთული, რიხ". აქ მთელი რიგი სხვა წეს-ჩვეულებებიც სრულდებოდა: ბავშვის ჩქმეტა, ხის სადგისით ჩხვლეტა, ბავშვის მიწაზე დანარცხება და სხვ. რაც, მოხუცი სვანების თქმით, ადამიანთა, საქონლისა და პურეულის გამრავლებისათვის ხდებოდა)[14]. საყურადღებოა აგრეთვე კიდობანში ავი თვალის საწინააღმდეგო თეთრი ქვის, რკინის ნაჭრის ან ნალის და ნახშირის ჩადების ჩვეულება[15].

გასათვალისწინებელია კიდობნის დაჭრელების წესები და თავისებურება. კიდობნის წინა ფასადზე სამკაულად ხშირია გეომეტრიული ორნამენტი: დიდი ზომის სვასტიკები, ბუღაური, ჯვარი და სხვ. ზოგჯერ კიდობანზე მხოლოდ ჯვარია გამოსახული, კიდობნის ქვედა არშია იმეორებს ისგნტაფი||ლეჭუნდირის მორთულობას. ჯვრის და ბორჯღალის გამოსახულება კიდობნის სამკა-

12 ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ,. 1953. გვ. 114.

13 ჸული ეწოდებოდა ნაძვის, კაკლისა და მსხლის მსხვილსა და გრძელ ტოტს, რომელსაც ახალი წელიწადის წინა დღეს (შეშხუამ) დილით მოჭრიდნენ და სახლთან გარეთ გამოსაჩენ ადგილას მოათავსებდნენ (ვ. ბარდაველიძე, სვანურ დღეობათა კალენდარი, I, გვ. 221).

14 ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, გვ. 114.

15 კიდობანთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების შესახებ ანალოგიური ვითარებაა დამოწმებული აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და საინგილოში. ლ. ბედუკიძე, ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, გვ. 84-105; მ. ჯანაშვილი, საინგილო, ძველი საქართველო, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ე. თაყაიშვილის რედაქციით. ტფ., 1911-13, ტ. II, გვ. 96.

ულთა მთავარი ელემენტია. საქართველოში ჯვრის მხატვრულად გამოსახვას მატერიალური კულტურის ძეგლებზე დიდი ხნის ტრადიცია აქვს[16]. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი; ასტრალურ ორნამენტს - მზე, ჯვარი – დიდი ადგილი უჭირავს იმდროინდელი ადამიანის სამეურნეო ცხოვრებაში. ასტრალური ორნამენტი მზის ემბლემას გამოსახავს და უძველესი დროის კულტურულ მონაპოვრად ითვლება; იგი აღორძინების და ნაყოფიერების სიმბოლოა.

როგორც ცნობილია, დღეს, ავეჯზე გამოსახულმა ორნამენტმა დაკარგა თავისი შინაარსი და ხალხური ხელოვნების ეს ნიმუშები ამჟამად წარმოადგენს განყენებულ დეკორატიულ ელემენტებს[17].

მთხრობელთა გამოკითხვამ დაგვარწმუნა, რომ მრავალსახეობათა შემცველი და მრავალგვარი დანიშნულების მატარებელი კიდობანი ძველად უფრო ნაირსახოვანი ყოფილა; დროთა ვითარებას მისთვის თავისი კვალი დაუმჩნევია. გასულ საუკუნეში ფართოდ ხმარებული ორნამენტიანი საფქვილე თუ სამარცვლე კიდობნები მოხმარების სფეროდან თანდათან გამოსულა და სადა კიდობნები დამკვიდრებულა.

კიდობნის ფასი მისი ზომით და ორნამენტთა სახეობით განისაზღვრებოდა. სვანების ნახელავი, რომელიც სილამაზით და ხარისხით გამოირჩეოდა, გასაყიდადაც გაჰქონდათ[18]. დიდი ორნამენტირებული კიდობანი ძვირად ფასობდა, იგი ერთი ძროხა ღირდა.

---

16 ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, 1, ხევსურული, თბ., 1939; ლ. ბოჭორიშვილი, ხევსურული ჯვარი, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", V, თბ., 1951, გვ. 70-76.

აღსანიშნავია, რომ სვანეთში გავრცელებული კიდობანი გარკვეულ კავშირს ამჟღავნებს როგორც რაჭა-ლეჩხუმში, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებულ კიდობანთან.

17 ლ. ბედუკიძე, ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.

18 გ. ჩიტაია, სვანური „საკურცხილ", საქ. მუზეუმის მოამბე, II, ტფ., 1925, გვ. 97.

ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ სვანური სახლის მოწყობილობაში გარკვეულ ადგილზე მიჩნეული კიდობნები ოჯახის უფროსი ქალის ხოშა ზურა̈ლ დიხსა̈ლ-ის განკარგულებაში იყო და იქ შენახული მარცვლეული მისი მეთვალყურეობით იხარჯებოდა. ზოგ შემთხვევაში ამ მოვალეობას პურის მცხობელი – მერბიელი ასრულებდა[19].

კიდობანი გამორჩეული საწყაოთი - კვიდოლით[20] ივსებოდა, ამიტომ მისი მოცულობა ცნობილი იყო. კიდობანი მარცვლისა და ფქვილის საცავ-სათავსი და საზომი იყო[21], ოჯახში 6-12-მდე კიდობანი იდგა და თითოეულში 10-20 კვიდოლი მარცვალი თავსდებოდა.

სვანური მასალების მიხედვით, ქალის მოვალეობა მკვეთ-რადაა გამოყოფილი და განსაზღვრული. დიასახლისმა იცოდა, წლის განმავლობაში რა რაოდენობის ფქვილი სჭირდებოდა ოჯახს გამოსაკვებად და როგორ იყო ეს რაოდენობა რაციონის ყოველ ჯერზე განაწილებული, ამიტომ იგი კიდობნიდან კიზით ამოღებულ ფქვილს გამოზომილ ჭურჭელში – კვიდოლში ან ტურფაში ყრიდა. ცალკე იყო გამოყოფილი პურის გულში შესარევი ფქვილი – სართავი, რომლისთვისაც საწყაო „ნაჩდუნ კარვა" ჰქონდათ[22].

XIX ს-ის მეორე ნახევარში კიდობანთან ერთად, მხოლოდ უფრო იშვიათად, სათავსად გამოყენებული იყო მოწნული ჭურჭელი ჰუფ||გოდ||გოდორი და ლაშხვეტ კიბდრ̈ნ||მოწნული კიდობანი.

ძველი ნაგებობის გადაკეთებისა და ახალი სახეობის სახ-ლების გავრცელებასთან ერთად, რაც XX ს-ის დასაწყისიდან უკვე შესამჩნევია, იერს იცვლის საცხოვრებლის შიდა მოწყობილობაც. ამ დროს კიდობანი კვლავინდებურად აღარ არის გავრცელებული,

---

19 მ. ჩართოლანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

20 კვიდოლი – მთლიან ხეში ამოკვეთილი საწყაო, სამ ფუთს იტევს.

21 მ. გუჯეჯიანი, სვანური საზომ-საფასურები, ანუ მეტროლოგია, ბალსზემო სვანეთი, 1950, საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების, არქივი რვ. I, M1, 87.

22 მ. ჩართოლანი, დასა. ნაშრომი, გვ. 112.

ხოლო მოწნული ჭურჭელი ყოფიდან იდევნება და მის ადგილს იკავებს ხარვალი.

ხარვალი XX ს-ის ოცდაათიან წლებამდე ერთნაირი სიხშირით არ იყო გავრცელებული. ბალს ზემო სვანეთში ხარვალი ხშირი იყო, ხოლო ბალსქვემო სვანეთში იშვიათად იხმარებოდა. აქ ხარვალი დღესაც იშვიათად გვხვდება, მარცვლისა და ფქვილის ძირითად სათავსს კიდობანი წარმოადგენს.

ხარავ||ხარვალ||ხარალ||ხარ კონსტრუქციულად წააგავს კიდობანს, მაგრამ მასზე დაბალი, გრძელი და ასახდელი სახურავით დახურული ჭურჭელია. იგი დამზადებულია თელის, ნაძვის, ვერხვის ან ფიჭვის სუფთად გათლილი ფიცრებისაგან. ხარავ დგას გამოჩარხულ ან გამოთლილ ექვს ფეხზე, რომელიც ძირითადად ხაროს კუთხის ან გვერდის სვეტის – დირეს დაბოლოებას წარმოადგენს.

პირველად კეთდებოდა ხარავის ფიცრების საჭერი ჩარჩო, რისთვისაც არჩევდნენ მაგარი ჯიშის ხეს. ჩარჩოს – დირეს რაოდენობა ხარავის სიდიდეზე იყო დამოკიდებული. ხარავს ჰქონდა ექვსი, ხან რვა დირე. დირეების გულს სატეხით ამოტეხავენ, სუფთად გათლილ ფიცრებს ხაზით ერთმანეთზე მიაწყობენ და დირეში ჩასვამენ, რის შემდეგ ცულით მიჯრით მიაწყობენ – შეამჭიდროვებენ. შეკრულ ხარავს ძირს გაუკეთებენ და ტიხრით თვლებად დაყოფენ. ხარავის თითოეული თვალი მჭიდროდ შეკრული ასახდელი კარით იკეტება, რომელიც ანჯამით არის მიმაგრებული. სახურავის ნაპირი ფიცარი ოდნავ გამოწეულია, იგი გათვალისწინებულია ასახდელად. გვხვდება აგრეთვე გამოსაწევი სახურავით დახურული ხარვები.

სახელწოდება ხარავ||ხარვალ უფრო ზემო სვანეთის ლექსიკაში დასტურდება, ხარალ ქვ. სვანეთშია აღნუსხული.

ხარვალი და მისი შესატყვისი ხალვარი და ხარვარი საწყაოდაა ცნობილი XVIII ს-ის ქართულ საისტორიო მწერლობის ძეგლებში.

1773 წელს ჯარებისათვის შეწერილ ხარჯის ნუსხაში, რომელიც ერეკლეს ბრძანებითაა დადგენილი, გამოსაღებად ნახსენებია ფქვილი და ქერი ხალვარი... ხარვალი და ხარვარი გამოსაღებადაა დასახელებული 1784 და 1789 წლებში[23]. როგორც ჩანს, ხარვარი გამორწყული საწყაო ჭურჭელი იყო, რომლითაც გამოსაღების გადახდა ხდებოდა.

ამ განმარტებას რამდენადმე ავსებს დ. ჩუბინაშვილის შემდეგი ცნობა: „ხარვალი (ოსმ.), ს. ყაბიწი ათკოდიანი ან ასი ლიტრა"; ხალვარი და ხარვალი დ. ჩუბინაშვილთან სინონიმებად გვხვდება[24].

ასე განმარტავს ხალვარის მნიშვნელობას ნ. ჩუბინაშვილი: „ხალვარი ან ხარვალი კაბიწი 12 კოდი და ნახევარი"[25], ლექსიკოგრაფების მასალის მიხედვით, ხალვარი 37 $^1/_2$ ფუთის ტევადობის ჭურჭელია, რადგან კოდი 3 ფუთია. ჩვენთვის ხარვარის მეორე და უპირველესი მნიშვნელობაც არის ცნობილი. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ მარცვლეულის საზომი ხალვარი სპარსული სიტყვაა, სახედრის ტვირთს ნიშნავს და 2 $^1/_2$ ფუთის ტოლი ერთეულია, ე.ი. ცხენის ტვირთის $^1/_3$-ს უდრის[26]. ტვირთზიდვის აღნიშნული ერთეული შეუსაბამო ჩანს ლექსიკოგრაფების მონაცემებთან. ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ ქვემო ქართლში ხარვალი 10 კოდის მოცულობისაა. როგორც ჩანს, დროთა ვითარებაში სახედრის ტვირთის აღმნიშვნელმა ტერმინმა პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა და წონის სხვა საზომი ერთეული გახდა.

23 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წიგნი II, თბ., 1974, გვ. 113, 114, 158.

24 დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1887, სიტყვასთან ხარვალი.

25 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, სიტყვასთან ხარვალი.

26 ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წიგნი III, ნაკვეთი მესამე, ტფ., 1925, გვ. 115-116.

ერთი სიტყვით, ხარვალი, საფიქრებელია, ქართველი ხალხის შემეცნებაში არ იწვევს ასოციაციას მხოლოდ ტვირთისას, მან ძირითადი მნიშვნელობის გარდა ყოფა-ცხოვრებაში მიიღო მეორე და მესამე მნიშვნელობაც. სიტყვის ეს პოლისემანტიზმი გასაგებად ხდის ჩვენთვის საყურადღებო იმ მოვლენას, რომ ხარვალი თავის მნიშვნელობით შეხვდა და დაემთხვა საზომს და შემდეგ ჭურჭლის ცნებას, მათი სინონიმი გახდა. ასეთივე გარემოება გვაქვს საპალნე ტვირთისა და საპალნე საზომის მიმართ და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, სვანეთში ეს სათავსი გვიანდელია, იგი ქვემო სვანეთის გზით რაჭა-ლეჩხუმიდან შემოსულად ითვლება, სადაც ეს ტერმინი ბეღლის თვალს აღნიშნავს, ე. ი. აქაც მარცვლის სათავსი ჭურჭლის ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ხარვალი ერთი ზომისა არ არის, მისი მოცულობა მაინც ცნობილია; გვხვდება 60-80 და 120 ფუთის ტევადობის ხარვალი. ხარვალის ძირითადი საცავი იყო გუემი, ლალჩა||ცალმაგი და დარბაზი. ე.ი. სიტყვა ხარალ მოსწყდა, დაშორდა გამოზომილი ტვირთის ცნებას, დაშორდა საზომს და გამოყენებული აღმოჩნდა, საზომის გარდა, სათავსის აღმნიშვნელ სახელად.

ამ განმარტებას რამდენადმე ავსებს ხარო სათავსის საკითხიც.

ქართულში სიტყვა ხარო ფრიად გავრცელებულია, მეტადრე დიალექტებში. მას იცნობს ფშავი, ხევსურეთი, მესხეთ-ჯავახეთი, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ზემო გურია და ა. შ. ოღონდ ის ცოცხალ ხმარებაში დატვირთულია ნაირნაირი აზრითა და მნიშვნელობით; ერთგან იგი მიწისქვეშა ქვიტკირის სათავსია (ქართლი, კახეთი, მესხეთ-ჯავახეთი), ზოგან უძრავი ან მოძრავი სახლის შიდა ხის ჭურჭელი (სვანეთი, ზემო რაჭა, ზემო გურია, მესხეთ-ჯავახეთი), ბეღლის (ლეჩხუმი, იმერეთი, ზემო. გურია)[27] ან ლაზამბარის (მესხეთი) თვალი და სხვ.

---

27 ჯ. რუხაძე, სამეურნეო სათავსები საქართველოში, „მაცნე", ისტორიის სერია, 1974, #4, გვ. 179-180.

ხარო სიტყვა ნახსენებია სვმეონ მესუეტის ცხოვრებაში. საიფქლე ნაგებობა – საიფქლე ხაროს სახელით არის ცნობილი (Keimena, 271-272, 105)[28]. სამწუხაროდ, წყაროში არ ჩანს როგორი ნაგებობა იყო ხარო.

ფუნქციისა და კონსტრუქციის ძირითადი ნიშნების მიხედვით ხარო იგივეა, რაც ხარალ (ქვემო სვანური)||ხარვალ||ხარავ||ხარვა (ზემო სვანეთი).

სიტყვა ხარო და ხარვალის ენობრივი კავშირის საფუძველზე, რომელიც განვითარების ხანგრძლივ და ერთიან გზას გულისხმობს, ჩვენ გვესახება მათი გენეტიკური კავშირის არსებობის შესაძლებლობა. საფიქრებელია, ხარვალ იყოს უფრო ძველი ფორმა, ხარო კი მეორეული. ამ მოსაზრებას შემდგომი დაზუსტება დაჭირდება, რამდენადაც სიტყვა ხაროს ისტორია ქართველურ ენებში არ არის დადგენილი.

როგორც სათანადო ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, XX ს-ის მეორე ნახევრიდან ზოგიერთი სათავსი (კიდობანი, ხარვალი) საცხოვრებელი სახლების ფორმათა შესამჩნევი უნიფიკაციის მიუხედავად, საცხოვრებლის მთავარ. ელემენტად დარჩა. ზოგმა სათავსმა – გოდორმა და მოწნულმა კიდობანმა, დაკარგა თავისი ფუნქცია და გაქრა ყოფა-ცხოვრებიდან.

---

28 ვასახელებ ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბ. 1946, გვ. 59.



სოფელი ჰადიში,
ლიჩენიშის დღესასწაული

მარცხნივ – ერთ-ერთი მასპინძელი, რაჟდენ ავალიანი. მიდიან ლიჩენიშის ხატთან
(ზემო სვანეთი, სოფელი ჰადიში)

ნინა პლანზე – გივი ჯავახიშვილი, დგას ლადო ნილოსანი (არქიტექტორი),
დგას ირაკლი სურგულაძე, უკან ზის ჯულიეტა რუხაძე,
დგანან – მარინე გუგუშვილი და თამილა ცაგარეიშვილი
(სვანეთი, 1966 წელი)

ჯულიეტა მთხრობელებთან
(ზემო სვანეთი, სოფელი ბეჩო)

ჯულიეტა რუხაძე ჩართოლანების ოჯახთან და მთხრობელებთან
(სვანეთი, 1967 წელი)



შენირული კანაფის კვიკვი
(სვანეთი, ლატალი)

სოფელი ცხრილი
(ბეჩოს თემი)

ავალიანების სახლი
(ბეჩოს თემი)

მულახი და უშბა

სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია (გზაზე)

ეთნოგრაფიული ექსპედიცია,
დგანან – გიეი ჯავახიშვილი, (?), ლადო წილოსანი, (?), სტუდენტი,
მარინე გუგუშვილი, ჯულიეტა რუხაძე, თამილა ცაგარეიშვილი



ჯულიეტა რუხაძე, მარლენ ავალიანი, სვანები
(სვანეთი, ბეჩოს თემი)



ჯულიეტა რუხაძე
(სვანეთი, ბეჩოს თემი)



ჟულიეტა რუხაძე, ირაკლი სურგულაძე
(სვანეთი, 1960 წელი)